Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი
სოციალურ მეცნიერებებში
#8, თებერვალი, 2019

# ადრეული ქორწინება როგორც ბარიერი ახალგაზრდების განათლებისა და კარიერული განვითარებისთვის

**მაგდა რუხაძე**

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: magdo997@yahoo.com

## აბსტრაქტი

ადრეული ქორწინება არის ოფიციალური ან არაოფიციალური კავშირი ორ ადამიანს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც 18 წელზე ნაკლები ასაკისაა. ნაადრევ ქორწინებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, როგორებიცაა: ტრადიციები, ნორმები, გენდერული უთანასწორობა, ფინანსური მდგომარეობა, მარტოობისგან გაქცევის მცდელობა - განსაკუთრებით იმ ოჯახებში, სადაც მშობლები განქორწინებულები არიან და/ან და-ძმის მოვლა უწევთ. წინამდებარე კვლევის მიზანია იმის შესწავლა, თუ რა გავლენას ახდენს ნაადრევი ქორწინება განათლებასა და კარიერულ წინსვლაზე. გამოკითხვა ჩატარდა 45 რესპონდენტთან (28 ქალი და 17 კაცი), რომელთა საშუალო ასაკი 21 წელს შეადგენდა. კვლევა აჩვენებს, რომ ახალგაზრდა წყვილები ნანობენ თავიანთ გადაწყვეტილებას და ამის მიზეზი მომავალი მეუღლის ინტერესების, მატერიალური კეთილდღეობისა და ოჯახის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაა. ნაადრევი ქორწინება მათთვის განათლების მიღების ბარიერს წარმოადგენს, რაც კიდევ უფრო ამცირებს მათი დასაქმების შესაძლებლობას. ახალგაზრდებს დადებითი დამოკიდებულება აქვთ განათლების მიმართ, თუმცა სწავლის გაგრძელება რესპონდენტების მხოლოდ 1/5 მოახერხა. რესპონდენტების 85% არ აქვს სამსახური, თუმცა მშობლებისგან იღებენ მნიშვნელოვან ფინანსურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. აღნიშნული ფაქტორი ახალგაზრდებს მშობლებზე დამოკიდებულს ხდის. რაც შეეხება დანარჩენ რესპონდენტებს, მათ არ გააჩნიათ განათლების მიღების კონკრეტული გეგმა. ამის მიუხედავად, უმეტესობას იმედი აქვს, რომ მომავალში შეძლებს განათლების მიღებას და დასაქმებას. მოზარდების განათლებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული ბარიერის გადალახვისათვის მნიშვნელოვანია ახალგაზრდების, მშობლების, ოჯახების და ზოგადად, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ადრეული ქორწინების რისკებთან, ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებით; ამის განხორციელებაც შესაძლებელია შესაბამისი საინფორმაციო და დახმარების სერვისებით: ქორწინებაში მყოფი ახალგაზრდების განათლებაში ჩართვით, დასაქმებისა და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობით.


**საკვანძო სიტყვები:** ნაადრევი ქორწინება, ახალგაზრდები, განათლება.

## შესავალი

ნაადრევი ქორწინება კომპლექსური ფენომენია და მასზე მთელი რიგი ფაქტორები მოქმედებს, მათ შორის გენდერული უთანასწორობა, სიღარიბე, ტრადიციები და დაუცველობა. ბევრ ქვეყანაში, სადაც ბავშვთა ქორწინებაა გავრცელებული, გოგონებს ისე არ აფასებენ როგორც ბიჭებს; მათ ხშირად ოჯახის ტვირთად მიიჩნევენ; ბავშვთა ქორწინება ხშირად თაობიდან თაობაზე გადადის და კულტურულ ფენომენს წარმოადგენს; ღარიბი ოჯახებისთვის ადრეული ქორწინება ხშირად ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებაა; იმ ქვეყნებში, სადაც უსაფრთოების რისკი მაღალია, ადრეული ქორწინება ოჯახისათვის გოგონების დაცვის ერთადერთი საშუალებაა.

ნაადრევი ქორწინება განსაკუთრებით ხშირი განვითარებად ქვეყნებშია, სადაც ურბანიზაციის დონე დაბალია და საზოგადოება ძველ ტრადიციებს იცავს. ასეთი ქვეყნები ძირითადად აზიასა და აფრიკაშია. ქორწინების დასაშვები ასაკი ქვეყნების მიხედვით განსხვავდება, თუმცა ეს პერიოდი 16-დან 20 წლამდე მერყეობს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით,

ქორწინება დასაშვებია 18 წლის ასაკიდან, რადგან პირი არასრულწლოვნად (ბავშვად) სწორედ ამ დრომდე ითვლება.

ექიმი-რეპროდუქტოლოგების მოსაზრებით, ფიზიოლოგიურად ადამიანის ორგანიზმი ქორწინებისთვის შეიძლება მზად იყოს დაახლოებით 14-16 წლის ასაკში, მაგრამ მისი სოციალური და ფსიქოლოგიური მომწიფება საკმაოდ დიდი ხნით ჩამორჩება ფიზიკურ მომწიფებას.

ადრეული ქორწინება უკავშირდება ჯანმრთელობის რისკებს, განსაკუთრებით გოგონებს შორის, კერძოდ ნაადრევ მშობიარობას, რეპროდუქციულ ჯანმრთელობას, თუმცა ასევე გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიურ, ემოციურ და სოციალურ განვითარებასთან დაკავშირებული რისკებიც. ნაადრევი ქორწინება ასევე კარგ ფონს ქმნის ოჯახური ძალადობისთვის. ცნობილია, რომ ძალადობის შემთხვევების დიდი ნაწილი სწორედ იმ ოჯახებზე მოდის, რომლებიც ადრეულ ასაკში დაქორწინდნენ. ზოგადად, ნაადრევი ქორწინება არასასურველი მოვლენაა. წყვილი ხშირ შემთხვევაში არ არის მზად იმ პასუხისმგებლობებისთვის, რასაც ოჯახის შექმნა ავალდებულებს. ხშირ შემთხვევაში ნაადრევ ქორწინებას მოჰყვება განათლებისა და კარიერული განვითარების შეწყვეტა, იმედგაცრუება, და მთელი რიგი სოციალური პრობლემები. ადრეულ ასაკში ქორწინებისას პრობლემურია გოგონების განვითარების ნაკლები პერსპექტივა. დაქორწინების შემდეგ სწავლის გაგრძელებას გოგონები მხოლოდ იმ შემთხვევაში ახერხებენ, თუ მეუღლის ოჯახისთვის სწავლა არის პრიორიტეტული.

2013 წლის მონაცემების თანახმად, საქართველო მე-2 ადგილს იკავებდა მოლდოვას შემდეგ, გოგონათა ადრეული ქორწინების მიხედვით. საქართველოში 20-დან 24-წლამდე გოგონების 19% 18 წლის ასაკამდეა დაქორწინებული

გაეროს მოსახლეობის 2017 წლის კვლევის მიხედვით, რომელიც საქართველოში 12-34 წლის ასაკის 324 რესპონდენტთან ჩატარდა, 20-24 წლის ასაკის ქალთა 14%-მა ოჯახი 18 წლის ასაკამდე შექმნა. ვაჟებში ხუთჯერ უფრო ნაკლებია ადრეული ქორწინების შემთხვევები. ადრეული ქორწინების საქართველოს მაჩვენებელი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. თუმცა, იმის გამო, რომ ადრეული ქორწინება ხშირად არ არის ოფიციალურად დარეგისტრირებული, არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს რიცხვი გაცილებით მაღალია (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2017). საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წელს 611 არასრულწლოვანი პირის ქორწინება დარეგისტრირდა, ხოლო 2014 წელს - 665. მოცემული მაჩვენებლებიდან, 95%-ის შემთხვევაში, არასრულწლოვანი გოგო იყო.

სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით (2012) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, 2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის იანვრამდე, საჯარო და კერძო სკოლებში, საბაზისო საფეხურის დასრულებამდე, 7 367 გოგონამ შეწყვიტა განათლების მიღება, რისი მიზეზიც, უმრავლეს შემთხვევაში, ადრეული ქორწინება გახდა. განათლების შეწყვეტის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალი იყო ქვემო ქართლის რეგიონში. საქართველოში 2017 წელს 75–მა მოზარდმა სწავლა ქორწინების გამო შეწყვიტა, ხოლო 835 არასრულწლოვანი კი მშობელი გახდა, ნათქვამია საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში.

2016 წლის პირველი იანვრიდან გაუქმდა წესი, რომლის თანახმადაც 16 წელს მიღწეული პირების ქორწინება მშობლების თანხმობით დაიშვებოდა. კანონმდებლობაში ეს ცვლილება გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხრის კომიტეტის (CEDAW) რეკომენდაციის გათვალისწინებით იქნა მიღებული. 2017 წლის იანვრიდან 18 წლამდე პირთა ქორწინება კანონით სრულად აიკრძალა.

ნაადრევი ქორწინება საქართველოში არ არის დაკავშირებული მხოლოდ ტრადიციებთან და ეთნიკური უმცირესობის ჯგუფებთან, როგორც ეს ადრე იყო მიჩნეული. ეს მთელს ქვეყანაში საკმაოდ გავრცელებული ფენომენია.

საქართველოში მწირია ადრეული ქორწინების მიზეზების, მასშტაბებისა და შედეგების შესასწავლად ჩატარებული კვლევები. ამის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ დიდი ხნის განმავლობაში ამ პრობლემის უხილაობა და სტატისტიკური მონაცემების სიმწირე. არსებული კვლევები ძირითადად შეეხება რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და ადამიანის უფლებებს, თუმცა ნაადრევი ქორწინების შედეგები მხოლოდ ამ საკითხებით არ ამოიწურება. ამდენად მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ არა მარტო რეპროდუქციულ ასპექტებზე, არამედ ნაადრევი ქორწინების როგორც ბარიერის მნიშვნელობაზე ახალგაზრდების განვითარებისთვის.

## ლიტერატურის მიმოხილვა

უკანასკნელ პერიოდში ადრეული ქორწინების მაჩვენებლი შემცირდა, თუმცა ბევრ განვითარებად ქვეყანაში ეს ნელი პროცესია; 2017 წელს 20-24 წლის ასაკის 70 მილიონი ქალი ქორწინებაში 18 წლამდე იმყოფებოდა (Mahato, 2016). განვითარებად ქვეყნებში ყოველი შვიდი გოგონადან 1 ქორწინდება 15 წლამდე ასაკში (Rodgers, 2012). ნიგერიაში ადრეული ქორწინების მაჩვენებელი 75%-ს აღწევს, ჩადსა და ცენტრალური აფრიკის რესუბლიკაში 68%–ს, ბანგლადეშში – 66%–ს (Ahmed 2015).

კვლევები ადასტურებს, რომ ნაადრევი ქორწინება ქორწინებაში მყოფი პირებისთვის, განსაკუთრებით ქალისთვის, თითქმის ყოველთვის შეიცავს სოციალურ-ეკონომიკურ რისკებს; ზოგადად, მსოფლიოში ადრეულ ქორწინებაში მყოფი გოგონების რაოდენობა გაცილებით მეტია ვიდრე ბიჭების. ადრეული ქორწინება ქალების უფლებების დარღვევად და დისკრიმინაციის საფუძვლად განიხილება (Hervish & Feldman-Jacobs, 2011). ნაადრევი ქორწინება შეიძლება ძალადობად ჩაითვალოს, რადგან არასრულწლოვანი ვერ მიიღებს ინფორმირებულ გადაწყვეტილებას; განსაკუთრებით, თუ ქორწინება ხდება იძულებით ან გარიგებით.

მიუხედავად იმისა, რომ გოგონები უფრო მოწყვლადები არიან ადრეული ქორწინების მიმართ, ვიდრე ბიჭები, ადრეული ქორწინების უარყოფითი გავლენა მხოლოდ მათზე არ ვრცელდება, არამედ გაცილებით ფართოა და ოჯახსა და თემსაც მოიცავს.

ადრეული ქორწინება ამცირებს განათლებაზე ხელმისაწვდომობას და ამდენად, დასაქმების შესაძლებობასაც. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ადრეული ქორწინება დადებითად უკავშირება გოგონების განათლების შეწყვეტას; რაც უფრო მაღალია გოგონების განათლების დონე, მით უფრო ნაკლებია ადრეული ქორწინების მაჩვენებელი. ადრეული ქორწინებისას განათლების მიტოვება ისეთი ფაქტორებით არის განპირობებული, როგორიცაა ოჯახური ვალდებულებების

ზრდა, ბავშვის მოვლა (Nour, 2009), სოციალური ფაქტორები - გენდერული სტერეოტიპები და ნორმები. ზოგადად, ადრეული ქორწინება სოციალურ მოწყვლადობას უწყობს ხელს.

განათლების ხელმისაწვდომობა მჭიდროდ უკავშირდება დასაქმებას; დასაქმებისათვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების ნაკლებობის გამო ადრეულ ასაკში დაქორწინებულ მოზარდებს სტაბილური და კარგად ანაზღაურებადი სამსახურის შოვნა უჭირთ; მათი შემოსავალი მწირი და არასტაბილურია. შესაბამისად, ისინი ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგებიან, რაც მათ სხვებზე დამოკიდებულებს ხდით.

განათლება ხელს უწყობს არა მხოლოდ კომპეტენციების განვითარებასა და დასაქმებას. განათლება უმნიშვნელოვანესია სოციალური უნერებისა და ადამიანური კაპიტალის განვითრებისთვისაც. განათლება ადამიანს ეხმარება მაღალი თვითშეფასების, თვითეფექტურობის, თვითკონტროლის განვითარებაში. განათლებული ახალგაზრდები მეტად მონაწილეობენ უჯახში გადაწყვეტილების მიღების პროცესში და საკუთარ ცხოვრებაზე მეტი კონტრლი აქვთ.

ბევრ ქვეყანაში ადრეული ქორწინება სიღარიბესთანაც ასოცირდება. ეს ძირითადად გამოწეუულია მრავალშვილიანობით, უმუშევრობითა და ოჯახის ნაკლები შემოსავლით (Sach, 2005). ადრეულ ქორწინებასა და სიღარიბეს შორის გამაშუალებელი ცვლადი კვლავ განათლების დაბალი დონეა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს როგორც დასაქმებაზე (Malhotra and Mather, 1997), ისე ოჯახის დაგეგმვაზე.

**კვლევის მეთოდოლოგია**

კვლევის მიზანია, შევისწავლოთ ადრეული ქორწინების გავლენა განათლებასა და კარიერულ განვითარებაზე საქართველოში. კონკრეტულად:

- რამდენად წარმოადგენს ადრეული ქორწინება განათლების მიღებისა და კარიერული განვითარებისათვის ბარიერს.
- როგორი დამოკიდებულება აქვთ ახალგაზრდებს განათლების მიმართ
- რა მექანიზმებს იყენებენ ახალგაზრდები განათლების მიღების გასაგრძელებლად

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებული როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დოკუმენტები, ლიტერატურა და სტატისტიკური მონაცემები. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ ჩატარდა ქ. თბილისში 45 რესპონდეტთან, რომელთაც ოჯახი 18 წლამდე შექმნეს; მათგან 28 ქალი იყო და 17 – კაცი; საშუალო ასაკი 21 (მინიმალური 19, მაქსიმალური 24). კვლევა ჩატარდა 2018 წლის მაისი-ივნისის თვეში სპეციალურად შედგენილი კვლევის ინსტრუმენტის გამოყენებით. კვლევაში გამოყენებული იყო "თოვლის გუნდა" შერჩევის მეთოდი; კვლევა არ არის რეპრეზენტატული შერჩევის ზომის სიმცირისა და გეოგრაფიული განაწილების გამო.

საველე სამუშაოების შემდეგ განხორციელდა მონაცემების შემოწმება, კოდირება, SPSS 28-ის წინასწარშექმნილ ბადეში შეტანა და დამუშავება (ერთ და ორგანზომილებიანი სტატისტიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებით). მცირე ზომის შერჩევის გამო (45 ადამიანი) ანალიზში

მოცემული პროცენტული მაჩვენებლები მოყვანილია ტენდენციების გამოსავლენად და არ არის რეპრეზენტატული კვლევის სამიზნე ჯგუფისთვის.

**ქორწინების მიზეზები და ქორწინებით კმაყოფილება**

კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ადრეული ქორწინების მიზეზებისა და ქორწინებით კმაყოფილების კვლევას. კვლევაში გამოვლინდა ადრეულ ასაკში დაქორწინების შემდეგი მიზეზები: ნორმები, რომლებიც ახალგაზრდებს უზღუდავს შესაძლებლობას თავისუფლად შეხვდნენ მეგობარ გოგოს/ბიჭს (49%); ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მოლოდინი (36%), მარტოობისგან გაქცევის მცდელობა - განსაკუთრებით იმ ოჯახებში, სადაც მშობლები განქორწინებულები არიან და/ან და-ძმის მოვლა უწევთ (24%).

კვლევის მიხედვით დაოჯახებამდე წყვილებს ხანმოკლე ურთიერთობები ჰქონდათ; რესპონდენტების 91% უარყოფითად აფასებს იმ ფაქტს, რომ დაოჯახებამდე საფუძვლიანად არ იცნობდა მომავალ მეუღლეს, მის ყოველდღიურ გარემოს, ოჯახს, მეგობრებს, მის ცხოვრების სტილს. ქორწინებამდე არც ერთ რესპონდენტს არ ჰქონდა მომავალ მეუღლესთან ინტიმური ურთიერთობა, მათივე თქმით, ქართული ტრადიციებისა და ღირებულებებიდან გამომდინარე.

კვლევის მონაცემების თანახმად, რესპონდენტი გოგონების 76%-ს შეეზღუდა თავისუფლება; ისინი ანგარიშვალდებულები გახდნენ პირველ რიგში ქმრებისა და დედამთილ-მამამთილის წინაშე, თუმცა, ზოგადად ოჯახის სხვა წევრების წინაშეც. მათი თქმით, მშობლები უფრო უგებდნენ და ანებივრებდნენ, ვიდრე ახალი ოჯახის წევრები.

არც ერთი რესპონდენტის სამომავლო გეგმაში ადრე დაოჯახება არ შედიოდა. 96%-ს არ ჰქონდა ინფორმაცია ოჯახის დაგეგმვის ანდა რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ; მათ დაქორწინების გადაწყვეტილება მიიღეს დაუგეგმავად, სპონტანურად. ადრეულ ასაკში ახალგაზრდები ვერ აცნობიერებენ იმ პასუხისმგებლობას, რომელიც ოჯახს ახლავს თან. გარკვეული დროის შემდეგ კი ისინი ცალსახად აღნიშნავენ, რომ ეს ნაბიჯი ნაადრევი იყო მათ ცხოვრებაში. რესპონდენტების უმრავლესობისთვის დაოჯახების შემდეგ მეუღლესთან ურთიერთობები იქცა ყოველდღიურობად, ვალდებულებად; მათივე შეფასებით, წყვილი განიცდიდა საერთო ინტერესების ნაკლებობას, მათთვის ოჯახური ცხოვრება იქცა ვალდებულებად. ღია კითხვაზე თუ რამდენად გამართლდა მათი მოლოდინები, რესპონდენტებმა შემდეგი პასუხები გასცეს: "სულ სხვა რაღაცას ველოდი! სად წავიდა ის აღფრთოვანება არ ვიცი. არ მეგონა ჩვენ თუ ჩვეულებრივი წყვილი გავხდებოდით" (20 წლის, გოგონა). "მეგონა ჩემს ქმარს კარგად ვიცნობდი, მაგრამ სულ სხვანაირად იქცევა როდესაც მის ოჯახში ვართ! მალევე მივხვდი ამას. დედამისს ძალიან დიდ ყურადრებას უთმობს და ყველაფერს უთანხმებს. მე მეორეხარისხოვანი ვარ ყველაფერში. ისე მინდა ცალკე ვიცხოვროთ, მაგრამ ეს შეუძლებელია" (22 წლის, გოგონა). გოგონების თქმით, ქმრები ამჟღავნებდნენ უყურადღებობას მათ მიმართ. ურთიერთობების გაცივებაზე რესპონდენტების 75%-მა მიუთითა.

რესპონდენტი გოგონები ვალდებულებებზეც ამახვილებენ ყურადღებას. მათ უძნელდებათ ადაპტაცია, თავისუფალი "შეყვარებულობის" მდგომარეობიდან პირდაპირ ვალდებულებებზე გადასვლა: „ჯერ იყო შეყვარებულობა, მერე პირდაპირ დედობა, ძალიან ცუდია; ბავშვი ძალიან მიყვარს, ვგიჟდები, მაგრამ არასოდეს მიფიქრია, რომ ამ ასაკში 7 წლის შვილი მეყოლებოდა; ეს

ხომ ძალიან დიდია?“ (23 წლის, გოგონა). “მგონია, რაც უფრო ადრე ქმნი ოჯახს და ბავშვი გიჩნდება, უფრო ადვილად ბერდები. ეს დიდი ტვირთია; 3 შვილი მყავს და ჩემს თავს ვეღარ ვცნობ, სარკეში რომ ვიყურები; მშურს, ჩემი თანატოლები მარტო სწავლაზე რომ ზრუნავენ. სადმე რომ მივდივარ, დანაშაულის შეგრძნება მაქვს, რომ ბავშვები სულ კარებისკენ იყურებიან და მელოდებიან” (22 წლის, გოგონა).

**განათლება, განათლებისადმი დამოკიდებულება და სამომავლო გეგმები**

როგორც კვლევის მონაცემებიდან ირკვევა, რესპონდენტების 91%-ს სურდა, კარგი განათლება მიეღო და კარგი სამსახური ჰქონოდა. ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ აუცილებელია ყველა ახალგაზრდამ ჯერ დაასრულოს საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულება ანუ სკოლა და მერე ისწავლოს პროფესიულ სასწავლებლებში ან უმაღლესი განათლება მიიღოს. მათთვის მნიშვნელოვანი იყო კარიერული განვითარება, დასაქმება და შემოსავლის მიღება. რაც შეეხება ახალგაზრდების გეგმებს, როგორც აღვნიშნეთ, ქორწინება და ბავშვის გაჩენა მათ გეგმებში არ შედიოდა: “სულ ვსწავლობდი, არასოდეს მდომებია გათხოვება, მერე “ბ” გავიცანი და ყველაფერი ამერია; ქორწილის შემდეგ აღარ მიფიქრია სწავლის გაგრძელებაზე, გავჩერდი; ახლა ვფიქრობ, რომ “ვჩლუნგდები“ (22 წლის, გოგონა).

გოგონების, რომლებიც დაოჯახების პერიოდში იყვნენ მოსწავლეები ან სტუდენტები, 20%-მა გააგრძელა უმაღლესი განათლება, სხვებს კი მიუხედავად სურვილისა, ამის შესაძლებლობა არ მიეცათ. რაც შეეხება მათ მეუღლეებს, რესპონდენტების თქმით, ისინი უფრო არასერიოზულად ეკიდებოდნენ განათლებას. ზოგიერთმა მათგანმა ვერ შეძლო სწავლის დასრულება. ზოგიერთისთვის ეს პრიორიტეტი არც შემდეგ შეცვლილა. ქმრები არ იყვნენ წინააღმდეგნი, მათ ცოლებს განათლება მიეღოთ. მხოლოდ 5 შემთხვევაში მეუღლე და დედამთილი არ აძლევდნენ გოგონას საშუალებას, ჩაებარებინა უმაღლეს სასწავლებელში, მაშინ როდესაც მეუღლეს თვითონ არც სამსახური და არც განათლება არ ჰქონდა და მატერიალურად სხვაზე იყო დამოკიდებული.

ღია კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ რესპონდენტებს განათლების მიღება პასუხებმა ცხადყო, რომ რესპონდენტებისთვის განათლება მნიშვნელოვანია; განათლება დასაქმებისათვის მნიშვნელოვან წინაპირობად მიაჩნიათ; განათლებას ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევენ პირადი ურთიერთობების სწორად წარმართვისთვისაც: „შემდეგ აი, როგორ ვთქვა, სკოლის შემდეგ ერთი საფეხურით მაინც სულ სხვანაირი ხედვა გაქვს ცხოვრებაზე, ვიდრე იმას, ვისაც სკოლის განათლება აქვს“ (24 წლის, ვაჟი). ზოგიერთი რესპონდენტი, რომელიც მეუღლის განათლებით უკმაყოფილო იყო, აღნიშნავს, რომ ეს ფაქტი დიდ როლს თამაშობდა მათ ურთიერთობაში, რადგან განათლებული ადამიანი პრობლემებს/სიტუაციას უფრო ჯანსაღად აფასებს და მათ მოგვარებას ცდილობს, აკონტროლებს ემოციებს და პატივს სცემს მეუღლეს. მათ შემთხევაში კი ასე არ ხდებოდა. ამ ფაქტს უკავშირებენ სხვადასხვა წამოჭრილ პრობლემას, რის შემდგომაც მათი ურთიერთობები თითქოს “გაცივდა”.

20%-ის გარდა, ვინც სწავლა გააგრძელა, დანარჩენ რესპონდენტებს კონკრეტული გეგმები არ ჰქონდათ, თუმცა უმეტესობას იმედი ჰქონდა, რომ ოდესმე რამეს ისწავლიდა და დასაქმდებოდა. რესპონდენტების ნაწილს სურს ხელობის შესწავლა და საკუთარი საქმის, ბიზნესის დაწყება.

**დასაქმება**

რესპონდენტების 85%-ს არ ჰქონდა სამსახური და სტაბილური შემოსავალი, შესაბამისად მათ მშობლები სისტემატურად ეხმარებოდნენ. უმუშევრობის ძირითად მიზეზად ახალგაზრდებმა დაასახელეს სამუშაო ადგილების ნაკლებობა, თავიანთი განათლების დაბალი დონე და ის ფაქტი, რომ არ ჰყავდათ ნათესავები და ახლობლები, რომლებიც დასაქმებაში დაეხმარებიდნენ. დასაქმების მიზნით ისინი ძირითადად სხვადასხვა ორგანიზაციაში აგზავნიდნენ რეზიუმეს. სამმა მონაწილემ აღნიშნა, რომ დაესწრო დამსაქმებლებთან შეხვედრას, თუმცა ვერც ერთი მათგანი ვერ დასაქმდა.

რესპონდენტების უმეტესობისთვის ეკონომიკური თავისუფლება მნიშვნელოვანი იყო, თუმცა უმუშევრობის გამო იძულებულები იყვნენ მშობლებზე ან ოჯახის სხვა წევრებზე (და-ძმა, ბაბუა) ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი. ზოგიერთ შემთხვევაში ეკონომიკური პრობლემები გახდა ოჯახში უთანხმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი. გოგონები აღნიშნავდნენ, რომ მათი მეუღლეების ოჯახებთან შედარებით მათ უკეთესი ფინანსური მდგომარეობა ჰქონდათ. ის მშობლები, რომლებსაც კარგი შემოსავალი ჰქონდათ, შვილებს ათამამებდნენ: ,,ხშირად მათამამებდნენ, ტუტუცი ბავშვი ვიყავი, ეხლა რომ ვუყურებ ჩემ ბავშვობას“ (21 წლის, გოგონა). „მეორე დღესვე რო შევხედე... სად აღმოვჩნდი, ... ვინანე ძალიან“ (24 წლის, გოგონა). ასევე ვიკვლევდით თუ რამდენად ცდილობდნენ წყვილები დასაქმებას, და ამისათვის რა მექანიზმებს იყენებდნენ. გოგონების მითითებით, ისინი მეტად ცდილობდნენ დასაქმებას, ვიდრე მათი ქმრები. “ვაკანსიები შევურჩიე და გასაუბრებაზედაც წავიდა, მაგრამ არც ერთი მოეწონა“ (20 წლის, გოგონა).” კვლევაში მონაწილე არც ერთ ბიჭს არ უთქვამს, რომ მათი ცოლები არ ცდილობდნენ დასაქმებას ან რომ ცოლების დასაქმება მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

შეიძლება ითქვას, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო მეტი მზაობით გამოირჩევიან ოჯახური ცხოვრების მიმართ და ზრუნავენ ოჯახის მომავალზე, ვიდრე მათი ქმრები.

**მხარდაჭერა**

რესპონდენტების 80% აღნიშნავს, რომ მშობლებისგან ისინი იღებდნენ მნიშვნელოვან ფინანსურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას რთულ მომენტებში; გოგონები მიუთითებენ, რომ ახალ ოჯახებში მათ ნაკლები მხარდაჭერა ჰქონდათ, ვიდრე საკუთარ ოჯახში.

არც ერთი რესპონდენტის მშობელი არ იყო 18 წლამდე დაოჯახეული; ღია კითხვაზე თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ მშობლებს ქორწინების გადაწყვეტილების მიმართ, რესპონდეტებმა აღნიშნეს, რომ მშობლების უდიდესი ნაწილი წინააღმდეგი იყო გოგონების ნაადრევად გათხოვების: “დედაჩემი სულ ამას ამბობდა, რას იტყვიან ჩემზე ან ჩემს ოჯახზე? ვიღაც ველური ვარ და ბავშვი ამ ასაკში გავათხოვე? მერე ვის და როგორ ავუხსნი ყველაფერს? (21 წლის, გოგონა)“; რადგან შვილებმა აირჩიეს ეს გზა, მშობლები თავს ვალდებულებად თვლიდნენ, დახმარებოდნენ მათ. უფრო კონკრეტულად, რესპონდენტების თქმით, მათი მშობლების განწყობა არ იყო დადებითი, როდესაც შვილების დაოჯახების შესახებ გაიგეს, რადგან თვლიდნენ, რომ ეს გადაწყვეტილება ნაადრევი იყო. ძირითადად მხარდაჭერას ახლადშექმნილ ოჯახში გოგოს მშობლები ავლენდნენ: “ჩემმა შვილმა რომ მსგავსი გადაწყვეტილება მიიღოს, შანსი არ არის ვაპატიო; ეტყობა დედაჩემს ძალიან ვუყვარდი, რომ მაპატია კიდეც და ახლა ასე

მეხმარება; არადა, თავადაც ძაან ახალგაზრდაა 41 წლის და ყველაფერს იკლებს ჩემს გამო“ (24 წლის, გოგონა).

დაოჯახებამდე იმ რესპონდენტებს, რომლებიც იზრდებოდნენ ორმშობლიან ოჯახში, ჰქონდათ დედ-მამასთან კარგი ურთიერთობა. ხოლო, იმ რესპონდენტებს, რომლებსაც გარკვეული პერიოდის შემდეგ მოუწიათ ერთმშობლიან ოჯახში ცხოვრება, არ ჰქონდათ დედასთან/მამასთან ახლო ურთიერთობა. მათი თქმით, ეს მათთვის დიდი დანაკლისი იყო. ამ ფაქტს რესპონდენტები განსაკუთრებით განიცდიდნენ და ფიქრობდნენ, რომ დაქორწინება ხელს შეუწყობდა მათი პრობლემების გადაჭრას, შესაბამისად მიაჩნდათ რომ ქორწინება მათთვის სიმარტოვის დაძლევის გზა იქნებოდა.

**დასკვნა**

კვლევის მიხედვით, წყვილებმა ქორწინების შესახებ ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღეს, რასაც მოგვიანებით ნანობენ. ახალგაზრდები არ იცნობდნენ კარგად ერთმანეთს, მშობლებს, ნაკლები ინფორმაცია ჰქონდათ მომავალი მეუღლის ინტერესების, მატერიალური მდგომარეობის, მოტივების შესახებ.

ახალგაზრდა წყვილებისთვის პრობლემაა მატერიალური საკითხები და გაზრდილი საოჯახო ვალდებულება, განსაკუთებით გოგონებისთვის. საერთაშორისო კვლევებიც ადასტურებს, რომ ადრეულ ქორწინებას განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა აქვს ქალებზე, ზრდის ოჯახში მათ პასუხიმგებელობას და ამცირებს თანასწორობას (Hervish & Feldman-Jacobs, 2011).

ადრეული ქორწინება განათლების მიღების ბარიერია, რაც კიდევ უფრო ამცირებს მათი დასაქმების შესაძლებლობას. ახალგაზრდებს განათლების მიმართ დადებითი დამოკიდებულება აქვთ, თუმცა მხოლოდ რესპონდენტების 1/5–მა მოახერხა სწავლის გაგრძელება; დანარჩენებს განათლების მიღების კონკრეტული გეგმები არ აქვთ, მაგრამ უმეტესობა იმედოვნებს, რომ განათლების მიღებას და დასაქმებას მოახერხებს.

უმუშევრობა და ნაკლები შემოსავლები ახალგაზრდა ოჯახებს მშობლებზე დამოკიდებულს ხდის; მიუხედავდა იმისა, რომ არც ერთი რესპონდენტის მშობელი არ ემხრობოდა ქორწინებას, მშობლები ახალგაზრდებს მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ და ფინანსურ მხარდაჭერას უწევენ.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი არეგულირებს ადრეულ ქორწინებას, ადრეული ქორწინების მაჩვენებელი მაინც მაღალია საქართველოში. ამდენად, მნიშვნელოვანია კანონით გათვალისწინებული ნორმის ამოქმედება, რომლის მიხედვითაც ქორწინება დასაშვებია 18 წლის ასაკიდან; მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდების, მშობლების, ოჯახების, ზოგადად საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ადრეული ქორწინების რისკებთან, ოჯახის დაგეგმვასთან, რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით; შესაბამისი საინფორმაციო და დახმარების სერვისების უზრუნველყოფა; გოგონებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა; ქორწინებაში მყოფი ახალგაზრდების განათლებაში ჩართვის, დასაქმების და ზოგადად, სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა. ასევე მნიშვნელოვანია ადრეული ქორწინების საკითხთან დაკავშირებით კვლევების ჩატარება და მტკიცებულებაზე დამყარებული პოლიტიკის ჩამოყალიბება.

## ბიბლიოგრაფია


1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 1997
2. UNFPA, საქართველო - ადრეული ქორწინება, კვლევა (UNFPA) http://www.calameo.com/books/000713529423e3af16ad7
3. Ahmed, T (2015). Child Marriage: A Discussion Paper. *Bangladesh Journal of Bioethics*; 6(2):8-14
4. Hervish, A., & Feldman-Jacobs, C. (2011, April). Who speaks for me? Ending child marriage (Population Reference Bureau Policy Brief). Washington DC: Population Reference Bureau
5. Mahato, K. (2016) Causes and Consequences of Child Marriage: A Perspective. *International Journal of Scientific and Engineering Research*. 698-702
6. Malhotra Anju and Mather. (1997). Do Schooling and Work Empower Women in Developing Countries? Gender and Domestic Decisions in Sri Lanka. Sociological forum. Vol. 12, No.4.
7. Nour, N. M. (2009). Child marriage: A silent health and human rights issue. *Reviews in Obstetrics and Gynecology*,2(1),51-55.
8. Rodgers, B. (2012). Child marriage in Ethiopia and its associated human rights violations. *Policy Journal*, 11-12.